დანართი N1

ანგარიში

(ფინანსური საქმიანობის შესახებ)

წარმოგიდენთ სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N 2 საჯარო სკოლის 2023 წლის ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

2022 წლის ბოლოს დამტკიცდა 2023 წლის ბიუჯეტი, რომელიც დაგეგმილი იყო რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე ხარჯვით ნაწილში. ბიუჯეტის დაგეგმვისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა გასული წლების გამოცდილება. 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მხედველობაში იქნა მიღებული, როგორც ვაუჩერული დაფინანსებიდან, ისე ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლები. 2023 წლის ბიუჯეტში, წინა წლიდან გადმოსული ნაშთი შეადგენდა 2237 ლარს, ხოლო ბიუჯეტი ჯამურად განისაზღვრა 260850 ლარით. დაზუსტების მიზნით, სკოლის ბიუჯეტში წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ განხორციელდა ცვლილება.

სკოლის შემოსავლის ძირითად ნაწილს შეადგენდა მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსება. საანგარიშო პერიოდში სკოლამ მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსებიდან მიიღო 464 185 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილების შესაბამისად, სსსმ მოსწავლეებისათვის გამოყოფილმა დამატებითმა დაფინანსებამ წლიურად შეადგინა 36 400 ლარი.

2023 წლის იანვარში „მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანებაში შესული ცვლილების შესაბამისად, მასწავლებლებს სტატუსის დანამატი გაეზარდათ 125 ლარის (ხელზე ასაღები 100 ლარი) ოდენობით. 2023 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების მიხედვით ხელფასები არსებული ხელფასების 10%-ის ფარგლებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2023 წლის 01 დეკემბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში, სახელფასო ხარჯი ჯამში შეადგენს 458 913 ლარს.

კომუნალური ხარჯების დასფარადა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან 2023 წელს სკოლამ მიიღო 12263 ლარი.

რაც შეეხება დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავლებს, 2022 წლის 01 დეკემბრის შემდეგ გაიზარდა ბიუჯეტში იჯარიდან შემოსული თანხის ოდენობა. იგივე ეხება წრეების ფუნქციონირების შედეგად მიღებულ შემოსავლებსაც. არსებული ვითარების გათვალისწინებით, შემოსულმა თანხამ საანგარიშო პერიოდში ჯამურად შეადგინა 2 837 ლარი.

აღნიშნულმა შემოსავალმა სკოლას მისცა შესაძლებლობა, ჩაეტარებინა გარკვეული კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები, ასევე შეძლო, სკოლისათვის შეეძინა საჭირო ინვენტარი და ავეჯი. სასწავლო წლის მიმდინარეობისას, სკოლას დასჭირდა სხვადასხვა საქონლისა თუ მომსახურებების შესყიდვაც, რაც ასახულ იქნა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში.

ამჟამად იჯარით არის გაცემული შემდეგი ფართები:

1. 39,33 კვ.მ ფართი ნებადართული საქმიანობების ნუსხით გათვალისწინებული მიზნობრიობით, გახანგრძლივებული ჯგუფის ფუნქციონირებისთვის 150 ლარი ერთი თვის გადასახადი,
2. 273,18 კვ.მ ფართი ნებადართული საქმიანობების ნუსხით გათვალისწინებული მიზნობრიობით, კალათბურთის წრის ფუნქციონირებისათვის, 250 ლარი ერთი თვის გადასახადი,
3. 160 კვ.მ ფართი კვების ბლოკის ფუნქციონირების მიზნით 750 ლარი ერთი თვის გადასახადი.

2023 წელს სკოლამ სს ლიბერთი ბანკიდან'' სარგებელის სახით მიიღო 2292 ლარი,
სსიპ საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქუტურიდან სასკოლაში ჟალუზების მოწყობის მიზნით სკოლამ მიიღო -9900ლარი, ხოლო სპორტული ინვენტარისთვის - 9955 ლარი.

სულ ჯამში 2023 წლის განმავლობაში სკოლის შემოსავალმა ჯამში შეადგინა 1047235 ლარი, ხოლო ხარჯმა 1 046 806 ლარი. მათ შორის, სკოლის არასაბიუჯეტო შემოსავლებმა შეადგინა 5129 ლარი, საიდანაც იჯარიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 2837 ლარი, სხვა შემოსავალმა კი 2292 ლარი.

2023 წლის ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი მოხმარდა შრომის (ხელფასები, თანამდებობრივი სარგო, სქემით განსაზღვრული სტატუსის დანამატები) ანაზღაურებას. ასევე, სკოლის ბიუჯეტიდან ნაწილობრივ დაიფარა კომუნალური გადასახადები. საბიუჯეტო წლის განმავლობაში, ასევე, შესყიდულ იქნა სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოფისე ნივთები (საოფისე ინვენტარი, ქაღალდი, საკანცელარიო ნივთები და სხვა ანალოგიური მასალები).

სკოლაში ჩატარდა ნული სართულის რეაბილიტაცია, სადაც განთავსდა სასადილო, სამზარეულო, ბიბლიოთეკა და სველი წერტილები. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ დარბაზს. ასევე მთლიანად შეიცვალა გათბობის სისტემა. აღნიშნული სამუშაოები მთლიანად დააფინანსა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებთ, 2023 წლის სკოლის ბიუჯეტის შემოსავლები და გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი N 2

ანგარიში

(სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ)

წარმოგიდენთ სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჯარო სკოლის 2023 წლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს.

სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენილი სკოლის სტარტეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად. სკოლა ცდილობს განახორციელოს შემდეგი აქტივობები:

- სკოლის ორგანიზაციული განვითარება;
- სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;
- სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება;
- სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
- სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით;
- უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა;
- მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში;
- პროფესიული განათლების ხელშეწყობა

აღნიშნული მიმართულებების მიხედვით სკოლას შედგენილი ჰქონდა 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, საიდანაც შეასრულა მნიშვნელოვანი ნაწილი.

2022-2023 სასწავლო წლის მე-2 სემესტრი დაიწყო 2023 წლის 16 იანვარს და წარიმართა სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს მე-12 კლასში ირიცხებოდა 57 მოსწავლე. ყველამ წარმატებით დაასრულა სკოლა და შესაბამისად, მიიღო სრული ზოგადი განათლების ატესტატი. სკოლას ჰყავდა 17 მედალოსანი, მათგან 3 ვერცხლის და 14 ოქროს მედალოსანი. მე-12 კლასელებმა კარგი შედეგები აჩვენეს ერთიან ეროვნულ გამოცდებზეც. 2022-2023 სასწავლო წელს საბაზო საფეხური წარმატებით დაძლია 44 მოსწავლემ. საბაზო საფეხურის წარმატებით დასრულებისათვის 14 მოსწავლეს პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში გადაეცა კომპიუტერები.

აღსანიშნავია, რომ საბოლოოდ, მასწავლებელთა აქტიური მუშაობის შედეგად, მოსწავლეებმა წარმატებით დაძლიეს შესაბამისი კლასისათვის განსაზღვრული პროგრამა.

2023-2024 სასწავლო წელი დაიწყო 2023 წლის 15 სექტემბერს. აღნიშნულ წელს, პირველ კლასში რეგისტრაციის უფლება მიეცათ მოსწავლეებს, რომლებსაც 6 წელი შეუსრულდათ 2023 წლის 01 ნოემბრამდე. შესაბამისად, სკოლაში გაიხსნა 3-~ პირველი კლასი.
ხოლო დღეის მდგომარეობით სკოლაში ირიცხება 713 მოსწავლე. მათ შორის:

- დაწყებითი საფეხური 364 მოსწავლე;
- საბაზო საფეხური 185 მოსწავლე;
- საშუალო საფეხური 164 მოსწავლე.

სკოლაში სულ ფუნქციონირებს 31 ფინანსური კლასი.

2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით პედაგოგიურმა საბჭომ დაამტკიცა სასკოლო სასწავლო გეგმა. მისი შემუშავებისას გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები, ინდივიდუალური საჭიროებები და სკოლის მიერ დასახული მიზნები.

სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. 2023 წლის 21 ნოემბერს ძირეული ცვლილება შევიდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომლის საფუძველზე სკოლა იანვრიდან დაიწყებს 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო გეგმაზე მუშაობას.
აღსანიშნავია, 2024 წელს სკოლა ემზადება ავტორიზაციის პროცესებისთვის. სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას შესამუშავებელი და დასამტკიცებელი აქვს რამდენიმე მარეგულირებელი დოკუმენტი. მიმდინარე წლის დეკემბერში დაიწყება სკოლის ფილოსოფიის გადახედვის პროცესები, რომლის საფუძველზე შედგება შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

გარდა ამისა უნდა შემუშავდეს ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, საქმისწარმოების წესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, უსაფრთხოების პოლიტიკა, მოსწავლის ადაპტაციის წესი, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და სხვა. მათ შორის განხორციელდებაა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა და მათში ცვლილებების შეტანა.

სწავლის დასაწყისში, სკოლის ყველა მოსწავლეს ხელშეკრულებით გადაეცა უფასო სახელმძღვანელოები დროებითი სარგებლობისათვის. სკოლის მასწავლებლები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების გარდა, აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ლიტერატურას, ელექტრონულ რესურსებს, თვალსაჩინოებებს და ა.შ. ასევე, ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ხელშეკრულებები გაფორმდა მოსწავლეთა მშობლებთან, სადაც გათვალისწინებულ იქნა სკოლისა და მშობლის უფლება-მოვალეობები.

2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა თითოეული კლასის დამრიგებელი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს დამრიგებლის დებულების შესაბამისად. დირექციის მხრიდან აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა კლასის დამრიგებლებთან. სასწავლო წლის დასაწყისში მათ კიდევ ერთხელ განემარტათ ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი დამრიგებლის მოვალეობები და სადამრიგებლო კლასებთან მუშაობის წესები. ისინი სისტემატიურად ატარებენ სადამრიგებლო საათს (დაწყებით საფეხურზე არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო საფეხურებზე - არანაკლებ თვეში ერთხელ); აკონტროლებენ და მშობლებს აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, გაცდენებისა და სკოლაში მიმდინარე სხვა პროცესების შესახებ. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს შესაბამისი კლასის დამრიგებლებმა გააცნეს სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი ასპექტები, შინაგანაწესი, მოსწავლეთა შეფასების სისტემა და სხვა სასკოლო ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები. დამრიგებლებმა შეიმუშავეს სააღმზრდელო პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს.

გარდა ამისა, დამრიგებლები აქტიურ კომუნიკაციას ინარჩუნებენ მოსწავლეების მშობლებთან, აკონტროლებენ გაცდენების რაოდენობას. შესაბამისად, გაცდენების გამო

სტატუსის შეჩერების შემთხვევა არ გვქონია.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი ბადის შესაბამისად. იმისათვის, რომ მასწავლებლებმა შეძლონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა, მათ შედგენილი აქვთ შესაბამისი კურიკულუმები/პროგრამები. მოსწავლეებს ეძლევათ დავალებები, რომელიც წარმოადგენს შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.
2023 წლის 17 ოქტომბერს სკოლაში ჩატარდა დირექტორის არჩევნები. არჩეულ დირექტორთან სამეურვეო საბჭომ 6 წლის ვადით გააფორმა შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. დირექტორი საქმიანობას ახორციელებს დირექტორის სტანდარტისა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ფუნქციონირებს STEM კლუბი, მათემატიკის, ეკო-კლუბი, ტექნოლოგიების.
სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა 2023 წლის 13 ოქტომბერს. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში. თვითმმართველობის ახლად არჩეული წევრების ინიციატივით სკოლაში შეიქმნა სხვადასხვა კლუბი, მათ შორის თანასწორგანმანათლებელთა, ჟურნალისტიკის. გარდა ამისა, მათივე ინიციატივით განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა, როგორიცაა დედამიწის დღე, აუტიზმისა და დაუნის სინდრომის ცნობიერების ასამაღლებელი დღეები, რომელშიც აქტიურად ჩაერთნენ სკოლის მოსწავლეები და თანამშრომლები.
მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით ამჟამად, მიმდინარეობს საახალწლო პროგრამების სამზადისი და დეკემბრის ბოლოს სხვადასხვა კლასის მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ შემოქმედებას. თვითმმართველობა ზრუნავს მოსწავლეთა პრობლემების გადაჭრის გზების დასახვასა და სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებაზე.

სკოლას ამჟამად ჰყავს 1 მოწვეული მასწავლებელი,25 უფროსი, 14 წამყვანი და 3 მენტორი მასწავლებელი. 2 უფროსი და 1 პრაქტიკოსი სპეც. მასწავლებელი. სსსმ მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე სექტემბრიდან სკოლაში დასაქმდა ენისა და მეტყველების სპეციალისტი.

,,მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის" შესაბამისად, სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც დებულებით განსაზღვრული პერიოდულობით აკვირდება მასწავლებლებს გაკვეთილებზე და აძლევს მათ განმავითარებელ შეფასებას.

სკოლაში წარმატებით ხორციელდება ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები იღებენ შესაბამის განათლებას. ამჟამად, იდენტიფიცირებულია 21 სსსმ მოსწავლე. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდთან და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეებისათვის. სასწავლო წლის დასაწყისშივე საგნის მასწავლებლებმა სპეციალურ მასწავლებელთან ერთად შეადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებშიც გაწერილია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები.

რესურს ოთახი აღჭურვილია როგორც ტექნიკური საშუალებებით (ლეპტოპით, პრინტერით და ა. შ), ისე ინკლუზიური სწავლებისათვის საჭირო რესურსებით. სკოლა მომდევნო წლისთვის გეგმავს ინკლუზიური განათლების პროგრამის შემუშავებას.

სკოლა წარმატებულად ართმევს თავს ელექტრონული ჟურნალის წარმოებას. დირექტორის მოადგილე, რომელიც განსაზღვრულია ჟურნალების მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირად, პერიოდულად ამოწმებს მასწავლებლების მიერ ჟურნალის წარმოების წესის დაცვას. უნდა ითქვას, რომ წინა წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა მასწავლებელთა მიერ ჟურნალის კორექტირების მოთხოვნები.

მიმდინარე სასწავლო წელსაც სკოლაშიფუნქციონირებდა 8 საგნობრივი კათედრა:

- *ქართული ენა და ლიტერატურის;*
- *საზოგადოებრივი მეცნიერებების;*
- *საბუნებისმეტყველო მეცნიერებების;*
- *მათემატიკის;*
- *უცხოური ენების;*
- *სპორტის;*
- *ესთეტიკური აღზრდის;*
- *დაწყებითი კლასების.*

საგნობრივი კათედრები საქმიანობას ახორციელებენ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მომდევნო წლიდან ვგეგმავთ კათედრის დებულების შემუშავებას. კათედრა სასწავლო წლის ბოლომდე მუშაობას აგრძელებს მის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმით, დაგეგმილია აქტივობები, რომლებიც კათედრის წევრებმა სასწავლო წლის განმავლობაში უნდა განახორციელონ.

კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, სკოლა მიმართავს რამდენიმე ღონისძიებას. კერძოდ, მუდმივად ხდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლი და დაცვა. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს საშუალება აქვს მიმართოს სკოლის ექიმს, სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც სრულად არის აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტით. სარეგისტრაციო ჟურნალში აღირიცხება ყოველდღიური მომსახურება და გაცემული მედიკამენტები. გარდა ამისა, მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვისათვის დილის 9 საათზე, მოსწავლეთა და თანამშრომელთა შემოსვლის შემდეგ, იკეტება სკოლის ცენტრალური კარი, რომელიც კონტროლდება პასუხისმგებელი პირის მიერ. უცხო პირები სკოლის ტერიტორიაზე არ დაიშვებიან, გარდა სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლას ჰყავს 2 მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

სკოლამ აირჩია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც 2023 წლის 30 ოქტომბრიდან შეუდგა მუშაობას. გასულ სასწავლო წელს დისციპლინურ კომიტეტს არ ჰქონია დისციპლინური წარმოება.

სკოლის მრჩეველთა საბჭო იხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და რეკომენდაციებს წარუდგენს სკოლის დირექტორს შესაბამისი რეაგირებისთვის. მრჩეველთა

საბჭო, მთელი წლის განმავლობაში, აქტიურად მუშაობდა და გასცემდა რეკომენდაციებს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობა და მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტების გაცნობა და სხვა.

2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარდა მრჩეველთა საბჭოს 4 სხდომა, ხოლო მიმდინარე სასწავლო წელს 1 სხდომა. 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს დირექტორმა ანგარიში წარუდგინა მრჩეველთა საბჭოს, ხოლო 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წერილის საფუძველზე მრჩეველთა საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაციები.

გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარებისა, სკოლა მაქსიმალურად ცდილობს ისეთი პროექტებისა და აქტივობების განხორციელებას, რომელიც ამცირებს მოსწავლეთა შორის ბულინგის, კიბერ ბულინგის შემთხვევებს, აამაღლოს მოსწავლეებში სამოქალაქო თვითშეგნება, აუხსნას პერსონალური მონაცემების და მათი დაცვის მნიშვნელობა, დანერგოს კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო და ხელი შეუწყოს მოსწავლეთა და დასაქმებულთა უფლებების დაცვას. სკოლა იყენებს ყველა შესაძლებლობას მოსწავლეთათვის კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი ინტელექტუალური თუ ფიზიკური პოტენციალი.

სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს STEM საგნების, ევროპული ენების, სამოქალაქო განათლების, ფიზიკური და პროფესიული უნარების გაძლიერებას მოსწავლეებში. ამ მიზნით 2023 წელს **სკოლა ჩაერთული იყო შემდეგ პროექტებსა და პროგრამებში:**

- USAID სამოქალაქო განათლების პროექტი
- ევროსაბჭოს პროექტი „დემოკრატია იწყება სკოლაში“
- აზიის განვითარების ბანკის პროექტი პროფესიული განათლების მიმართულებით

სკოლას თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს :

- ილიას სახელმწიფო, ტექნიკურ და აგრარულ **უნივერსიტეტებთან;**
- **პროფესიულ კოლეჯებთან:** იბერია, იკაროსი, ITVET, სპექტრი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

სხვადასხვა პროექტების ფარგლებში სკოლა თანამშრომლობს შემდეგ სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მასში შემავალი სსიპ-ები;
- ადგილობრივი თვითმმართველობა,
- STEM მასწავლებელთა ასოციაცია
- ამერიკის მშვიდობის კორპუსი,
- ამერიკის საელჩო საქართველოში,
- გერმანიის საელჩო საქართველოში,
- საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი,
- სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოს და ევროკავშირის შესახებ,
- განათლება ყველასათვის-საქართველო
- გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი
- კონრად ადენაუერის ფონდი,

- ბრიტანეთის საბჭო,
- ინგლისურის წიგნის საქართველოში,
- ETAG (ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია),
- ESU (ინგლისურ ენაზე მოსაუბრეთა ასოციაცია),
- DVG (გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაცია),
- IDV (გერმანული ენის მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაცია),
- UNICEF Georgia,
- აზიის განვითარების ბაკი,
- Rotary club international,
- CENN,
- PH international,
- მშობლები განათლებისთვის,
- Junior achievement Georgia,
- საქართველო ქიმიკოსთა კავშირი,
- სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი,
- ასოციაცია „ბიო“.

ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით სკოლამ არაერთი აქტივობეში ჩაერთო მოიპოვა წარმატება:

1) სკოლის ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები, ელისო აბრამიშვილი და ინგა მოსიაშვილი გახდნენ STEM ინოვატორ მასწავლებელთა კონკურსსი ათეულის წევრები, ელისო აბრამიშვილმა კი პირველი ადგილი დაიმსახურა. მიღებული გრანტით სკოლის STEM ლაბორატორიისთვის შევიძნეთ მასალები
2) STEM კლუბის მოსწავლეები და მასწავლებლები სკოლაში შექმნილი პროექტებით მონაწილეობდნენ ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ STEM ფესტივალზე, ფიზიკის გამოფენაზე და თსუ-ში STEM გამოფენაზე.
3) კომპანია LOPUS-თან თანამშრომლობით სკოლის სტემ კლუბში განხორციელდა პროექტი „ჰიდროპონიკა“, რომელმაც რამდენიმე წარმატება მოიპოვა: ვეკუას სკოლის და საქართველო უნივერსტეტის კონკურსში მე-3 ადგილი დაიმსახურა და ცერნში ვიზიტი მოსწავლეებმა და მასწავლებელმა (31 მაისი-3 ივნისი, 2023); ეროვნული ბიბლიოთეკი სიმპოზიუმზე კი - პირველი ადგილი. აღნიშნული პროექტი შემუშავდა USAID სამოქალაქო განათლების პროგრამაში სტემ მიმარტილებით. ამ და სხვა პროექტების განხორციელებისთვის სკოლამ გაიმარჯვა ტექნიკის კონკურსში და მოსწავლეთა თვითმმართველობას საჩუქრად გადაეცა: ლეპტოპი, პროექტორი და ფერადი პრინტერი.
4) ქიმიის ოლიმპიადაში „ოქროს რიცხვი“ სკოლისმ ქიმიის კლუბი ეროვნულ სამ წარმატებულ კლუბს შორის დასახელდა; ქიმიის ოლიმპიადაში „ზურგჩანთა“ კი 4 მოსწავლე გადავიდა მომდევნო ეტაპეპზე და ისინი ბაზალეთის ბანაკით დაჯილოდვდნენ.
5) ვარშავის სამეცნიერო პიკნიკში (26 მაისი-29 მაისი, 2023) მონაწილეობდნენ სკოლის სტემ კლუბის მოსწავლეები და მასწავლებლები. ჩვენი სკოლის პროექტით 26 მაისს ვარშავის საერთაშოროსი სამეცნიერო პიკნიკი. მოსწავლეებმა წარადგინეს კლუბში მომზადებული რამდენიმე პროექტი.

6) სკოლის სტემკლუბის მასწავლებლები 2023 წლის ნოემბერში დაჯილდოვდნენ ვარშავის კოპერნიკის ცენტრში ვიზიტით განხორციელებული პროექტების გამო.
7) სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეები პირველად მონაწილეობდნენ რობოტიკის საერთაშორისო ოლიმპიადის შესარჩევ ეტაპზე WRO-2023;
8) სკოლა ჩართული იყო განათლების კოალიციის პროექტში CK12, რომელი ითვალისწინებდა საბუნებისმეტყველო და მათემატიკის სწავლებაში CK12-ის პლატფორმის მასალების გამოყენებას. ამ მიმართულებით სკოლამ გამორჩეული პრაქტიკა აჩვენა და ხუთეულში მოხვდა. ჩვენი გამოცდილება გავუზიარეთ საჩხერე-ჭიათურის მასწავლებლებსა და ასევე ვესტუმრეთ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორეთის და ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერეთისის საჯარო სკოლებს.
9) 2023 წლის ივნისში სკოლის ბაზაზე სტემ საგნების მასწავლებლების ხელმძღვანელობით ჩატარდა ერთკვირიანი ბანაკი, რომლის მიზანი იყო მოსწავლეებში სტემ მიმართულებით უნარების გაძლიერება. ბანაკი იყო უფასო, მასში მონაწილეობდნენ სამოტივაციო წერილების საფუძველზე შერჩეული სხვადასხვა სკოლების მოსწავლეები.
10) სკოლის სტემ კლუბი ჩართულია ილიას უნივერსიტეტის ტექნოლოგიური კლუბების ქსელში, რომლის ფარგებში მიმდინარეობას მოსწავლეთ ტრენინგები. პროექტის ფარგლებში სკოლიდან შეირჩა 5 მოსწავლე, რომელიც გადამზადდა და რომლებმაც შემდეგ სკოლაში თავიანთ თანატოლებს კლუბებში გრძელვადიანი კურსები ჩააყარეს სკოლის მასწავლებელთან ერთად.

უცხო ენების გაძლიერების კუთხით, სკოლამ წელს ნაყოფიერად ითანამშრომლა ამერიკის მშვიდობის კორპუსთან და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტთან. გოეთეს ინსტიტუმა სკოლას გადასცვა მდიდარი გერმანულემოვანი ბიბლიოთეკა და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები.

- ამერიკის მშვიდობის კორპუსის მოხალისე, ქეით მერფი, 2023 წლის ოქტომბრიდან შეუდგა სკოლაში მუშაობას. ინგლისურის ენი კათედრის მასწავლებლებთან ერთად შეირჩა კლასები, რომელშიც მოხალისე მასწავლებელი სკოლის მასწავლებელთან იმუშავებდა, ასევე დაიგეგმა ინტეგრირებული პროექტი „ბავშვის უფლებები“, რომელშიც ჩაერთვნენ ინგლისური ენის, ქართული ენისა და ლიტ-ისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები. პროექტი ასევე წარვადგინეთ საგრანტო კონკურსზე, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 5000 დოლარს. პროექტი ითვალისწინებს ტექნიკის შესყიდვას და ინფრასტრუქტურის მოწყობას.
- სკოლა თანამშრომლობს ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა ასოციაცსთან, რომლის კონკურსის ფინალში სკოლის სამი მოსწავლე გადავიდა.
- ინგლისური ენისა და ქიმიის მასწავლებლის ერთობლივმა პროექტმა „ბიოდიზელი“ ინოვაციების დღისადმი მიძღვნილ კონკურსში youty festival, რომელიც დისტანციურად გაიმართა აშშ-ში, სკოლამ მიიღო ჯილდო ინოვაციური პროექტისთვის 2500 აშშ დოლარი.

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კუთხით, სკოლაში მასშტაბური გამწვანები აქციით აღინიშნა დედამიწის დღე, ბავშვთა დაცვის დღე, ტოლერანტობის დღე და ადამიანის უფლებების კვირეული.

2023 წლის თებერვლიდან სკოლა ჩაერთო ევროსაბჭოს პროექტში „დემოკარტია იწყება სკოლაში“, რომლის ფარგლებში ტრენინგები უტარდებოდათ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს. პროექტის ფარგლებში შედგა სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმატებით განხორციელდა და სკოლამ პროექტის შემაჯამებელ კონფერენციაში პანელურ დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა, სადაც წარადგინა პროექტის შედეგები. პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობით მივიღეტ რეკომენდაციები სასწავლო პროცესის რეგულაციებთან, შინაგანაწესთან დაკავშირებით. ჩამოყალიბდა თანასწორგანმანათლებელთა კლუბები. პროექტის მონაწილეებისთვის გამართვა ბანაკის შესარჩევი კონკურსი, რომელშიც ორი მოსწავლის პროექტმა გაიმარჯვა და მოსწავლეებმა ერთი კვირა გაატარეს ლოპოტას ტბაზე.
2023 წლის მაისში მონაწილეობა მივიღეთ პროექტი **she's great** შემაჯამებელ ღონისძიებაში, რომელიც გაიმართა ქუთაისში. მოსწავლეებმა წარმოადგინეს შემაჯამებელი გამოფენა და პრეზენტაციები. პროექტის ხელმძღვანელებმა შეარჩიეს აქტიური 10 მოსწავლე, რომელიც გაემგზავრნენ ერთკვირიან ბანაკში ბაქსვუდის სკოლაში, წყნეთში.
სკოლა აქტიურად თანამშრომლობს კონრად ადენაუერის ფონდთან და სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ასოციაციასთა, რომლის ფარგლებში სკოლაში ჩატარდა პროექტი „ჩემი ევროპული გზა“. პროექტის ფარგლებში გაიმართა ესსეების კონკურსი და სკოლიდან ერთი გამარჯვებული მოსწავლე გაემგზავრება ერთკვირიან ბანაკში ლოპოტას ტბაზე.

USAID სამოქალაქო განათლების პროექტში განსაკუთრებული მიღწევების გამო, სკოლამ მიიღო ლიდერი სკოლის სტატუსი. ამიტომ, სასწავლო წლის განმავლობაში გამოცდილების გაზიარებით მიზნით ვთანამშრომლობდით 6 სკოლასთან, როგორც ადგილზე სტუმრობით, ისე ონლაინ შეხვედრებით.
2022-2023 სასწავლო წლებში განხორციელებული პროექტების და აქტივობებისთვის კი სკოლა 2023 წლის სექტემბერში დაჯილდოვდა „წლის იმერეთი რეგიონის დემოკრატიული სკოლის“ ტიტულით.

სკოლა თანამშრომლობს საქართველოს დებატების ასოციასთან. სკოლაში ფუნქციონირებს დებატების კლუბი. ხოლო 2023 წლის სექტემბრიდან სასკოლო გეგმას დაემატა არჩევითი საგანი „დებატების ხელოვნება“.

სპორტის მიმართულებით სკოლა მონაწილეობს მრავალფეროვან აქტივობებში:

- ✓ რაიონის მასშტაბით ჩვენი სკოლის ფეხბურთის გუნდმა პირველი ადგილი აიღო;
- ✓

პროფესიული განვითარების კუთხით და მასწავლებლების საჭიროებების კვლევის მიმარილებით სკოლა ჩაერთო განათლების კოალიციის პროექტში, რომლის ფარგლებში შემუშავებული კითხვარების საფუძველზე სკოლამ ჩაატარა მასწავლებელთა საჭიროებების

კვლევა. კითხვარების ანალიზის შედეგები დაგვეხმარება მომდევნო წლების სტრატეგიურლი და ერთწლიანი გეგმების შედგენაში.
სკოლის დირექტორმა გაიმარჯვა **სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და იგი ორკვირიანი სტაჟირებით იმყოფებოდა გერმანიაში,** ქალაქ ლუდვიგსბურგის გოტლიბ დაიმლეროს სახელობის რეალურ სკოლაში. პროექტის ფარგლებში დამყარდა თანამშრომლობითი ურთიერთობა სკოლებს შორის და მირებული გამოცდილება აისახება მომდევნო წლის გეგემბში.
სკოლის დირექტორი ასევე წარდგენილია ამერიკის მშვიდობის კორპუსის მიერ **საერთაშორისო ვიზიტორების ლიდერობის პროგრამაზე IVLP** , რომელიც 2024 წლის აპრილში შედგება აშშ-ში. პროგრამა არის 3 კვირიანი.

პროფესიული უნარები: 2023 წლი სექტემბრიდან სკოლაშ განხორციელდა ახალი სასერთიფიკატო კურსი „მებაღეობა-მებაღჩეობა“. სკოლის ნაკვეთზე მოეწყო სათბური და მივიღეთ შესაბამისი ინვენტარი. ხოლო 2023 წლის მარტიდან-კულინარიის სასერთიფიკატო კურსი დაინერგა. აღნიშნული კურსები გაგრძელდება მომდევნო წლიდანაც.

ინფრასტრუქტურის კუთხით :

- სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდდა შენობის ნულ სართულს, სადაც განთავსდა ახალი ბიბლიოთეკა, სამზარეულო და სასადილო, ასევე სრულად გარემონტთა სპორტული დარბაზი და გასახდელები. აღნიშნული სამუშაოების დაფინანსება მთლიანად უზრუნველყო სსიპ საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტომ.
- მთლიანად გამოცვალა ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელის ფინანსურად უზრუნველყო სსიპ საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტომ.

წერილში მოყვანილი აქტივობების დამადასტურებელი ფოტო და ვიდეო მასალა იხილეთ სკოლის ოფიციალურ fb გვერდზე:

https://www.facebook.com/sachkhereschoolN2

შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიასთან თანამშრომლობით, სკოლამ შექმნა ვებგვერდი https://www.sachkhere2.edu.ge/